<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა კოხრეიძის ქუჩისთვის ვლადიმერ რუბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, შალვა კოხრეიძის ქუჩას მიენიჭოს ვლადიმერ რუბაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ვლადიმერ ნოეზაშვილის ქ.
1 : 1371

ვლადიმერ რუბაშვილი

(1940-1964)

სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი

თბილისის 35-ე სპორტული სკოლის დამთავრების შემდეგ, 1959 წლიდან სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1961 წელს მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული იოკოჰამაში (იაპონია).

იყო XVII ოლიმპიური თამაშების (1960, რომი) ბრინჯაოს მედლის მფლობელი. საბჭოთა კავშირის სამგზის (1961, 1962, 1963) ჩემპიონი. გამოირჩეოდა ჭიდაობის აქტიური სტილით და უაღრესად თავისებური ტექნიკით. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური და თვითმყოფადი მოჭიდავე.

ტრაგიკულად დაიღუპა 1964 წლის 2 თებერვალს, ავტოკატასტროფის შედეგად.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია
NATIONAL WRESTLING FEDERATION OF GEORGIA

No 05
29.01.2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელობისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს ბ-ნმ. ამაშუკელს

ბატონო მიხეილ!

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია გაცნობებთბატონ ვლადიმერ (ვოვა) რუბაშვილის სპორტული წარმატებისა და მისი საპატიო დამსახურებების შესახებ:

ვოვა რუბაშვილი გამოირჩეოდა ჭიდაობის თავისებურილამაზი სტილით და დახვეწილი ტექნიკით. იგი აღიარებულია როგორც მსოფლიოს ერთ-ერთიყველაზე ტექნიკური და თვითმყოფადი მოჭიდავე.

ვოვა რუბაშვილი 1964 წლის 2 თებერვალს 23 წლის ასაკში დაიღუპა ტრაგიკულად (ავტოავარიში).

ვოვა რუბაშვილის სახელი შეტანილია ენციკლოპედიაში. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი-8, ოლიმპიური ენციკლოპედია ავტ. ნ. გუგუშვილი, სპორტის ენციკლოპედია, ავტორი და მთ.რედაქტორი ელგუჯა ბერიშვილი, ენციკლოპედია,"თბილისი"მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, მთ. რედაქტორი ავთ. საყვარელიძე).

ვოვა რუბაშვილის სახელი შეტანილია საკავშირო სპორტსაზოგადოებისა და ორგანიზაციების კავშირის საპატიო წიგნში 1960 წ. 21/IX.

ვ.რუბაშვილის სახელი პოეტმა იოსებ ნონეშვილმა უკვდავყო ლექსით „ბალადა ერთგულებისა".ასევე ლამაზი ლექსი მიუძღვნა პოეტმა ლაშა გახარიამ.

ვ. რუბაშვილი დაჯილდოვებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისთვის" და საპატიო წიშნის ორდენით.

1986-90 წლებში ქ. გორში ტარდებოდა ვოვა რუბაშვილის სახელობის საკავშირო ტურნირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია მოგმართავთ თხოვნით,დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას (სკვერს,სპორტულ მოედანს,სასურველია საბურთალოს რაიონში)მიენიჭოს მსოფლიოს ჩემპიონის (1961წ. იოკო-ჰამა,იაპონია),XVII ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელის (იტალია, ქ. რომი, 1960წ), სსრკ სამგზის (1961,1962,1963წწ) ჩემპიონის ვლადიმერ (ვოვა)რუბაშვილის სახელი.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფ

პრეზიდენტი

თ. გეგეშიძე

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა; ტელ.: +995 32 2 293 895; მობ.: +995 595 422 442

49a Chavchavadze Ave., Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 2 293 895; Mob.: +995 595 422 442

ხელმომწერები

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10
11.
12.
13.
14.
15.
16.
17.
18.
19.
20.
21.
22.
23.
24.
25.
26.
27.
28.
29.
30.
31.
32.
33.
34.
35.
36.
37.
38.
39.
40.
41.
42.
43.
44.
45.
46.
47.
48.
49.
50.